განყოფილება A – ორივე კითხვა სავალდებულოა

1-ლი კითხვა

ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მდებარე კომპანია „დარონის“ ხელმძღვანელობა განიხილავს კომპანიის საშუალოვადიან პერსპექტივებს. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებულ ერთი სახის პროდუქციაზე. უახლოეს მომავალში ქვეყანაში დაგეგმილია არჩევნების ჩატარება და კომპანიის ხელმძღვანელები დარწმუნებულნი არიან, რომ ინფლაციის მომავალი დონე დამოკიდებული იქნება ამ არჩევნებზე. მოსალოდნელია ინფლაციის შენარჩუნება 5%-ის დონეზე, თუ არჩევნებში პოლიტიკური პარტია A გაიმარჯვებს, ხოლო პარტია B-ს გამარჯვების შემთხვევაში, ინფლაციის დონე წლიურ 10%-მდე გაიზრდება. საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ პარტია B-ს გამარჯვების 40%-იანი შანსი აქვს.

ქვემოთ მოცემულია შემდეგი ხუთი წლის საპროგნოზო ფინანსური მონაცემები, მათ შორის მოსალოდნელი ინფლაცია, სადაც შესაფერისია.

იმარჯვებს პოლიტიკური პარტია A, ინფლაციის დონე წლიური 5%

	$ მლნ				
	20X7	*20X8*	*20X9*	*20Y0*	*20Y1*
საოპერაციო ფულადი ნაკადები:	28	29	26	22	19
რეალიზაცია	17	18	16	14	12
ცვლადი დანახარჯები	3	3	3	3	3
მუდმივი დანახარჯები					
სხვა ფინანსური მონაცემები:					
დამატებითი საბრუნავი კაპიტალი*	–	(1)	(2)	(3)	(3)
საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთა	4	3	3	2	1
ჩანაცვლების ინვესტიცია (არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის)	10	–	–	–	5

იმარჯვებს პოლიტიკური პარტია B, ინფლაციის დონე წლიური 10%

	$ მლნ				
	20X7	*20X8*	*20X9*	*20Y0*	*20Y1*
საოპერაციო ფულადი ნაკადები:	30	26	24	20	16
რეალიზაცია	18	16	15	12	11
ცვლადი დანახარჯები	3	3	4	4	4
მუდმივი დანახარჯები					
სხვა ფინანსური მონაცემები:					
დამატებითი საბრუნავი კაპიტალი*	1	(2)	(2)	(3)	(3)
საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთა	4	3	3	2	1

ჩანაცვლების ინვესტიცია (არ გამოიქვითება საგადასახადო მიზნებისთვის)	10	_	_	_	5

* ფრჩხილებში მითითებულია საბრუნავი კაპიტალის შემცირება

საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთა უგულებელყოფილი იქნება ორივე შემთხვევაში 20Y1 წლის შემდეგ. დასაბეგრი ფულადი ნაკადები 20Y1 წლის შემდეგ, საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთიდან საგადასახადო დანაზოგის გამოკლებით, სავარაუდოდ 20Y1 წლის ფულადი ნაკადების მსგავსი უნდა იყოს ხუთი წლის განმავლობაში, რომლის შემდგომ საქმიანობის გასაგრძელებლად აუცილებელი იქნება მნიშვნელოვანი ახალი ფიქსირებული ინვესტიცია. მიუხედავად ამისა, 20Y2 და 20Y6 წლების განმავლობაში საჭირო არ იქნება ჩანაცვლების ინვესტიცია.

საბრუნავი კაპიტალი 20Y1 წლის შემდეგ თითქმის მუდმივი (უცვლელი) დარჩება. მოგების გადასახადი წლიური 30%-ია და მოსალოდნელია მისი ამ დონეზე შენარჩუნება. შეიძლება დავუშვათ, რომ დაბეგვრა უნდა მოხდეს იმ წელს, როდესაც შემოსავალი წარმოიქმნა.

კომპანია „დარონის“ ჩვეულებრივი აქციების მიმდინარე ფასი 46 ცენტია (100 ცენტო = $1)

„დარონის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 20X6 წლის 31 მარტს

	$ მლნ
გრძელვადიანი მატერიალური აქტივები	17
წმინდა მოკლევადიანი აქტივები	12
მთლიან აქტივებს გამოკლებული მიმდინარე ვალდებულებები	29
სავალო ვალდებულებები და სესხები, რომლებიც ერთი წლის შემდეგ უნდა დაიფაროს	7
კაპიტალი და რეზერვები:	
მოზიდული სააქციო კაპიტალი (25 ცენტის ნომინალური ღირებულებით)	5
რეზერვები	17
	29

კომპანიას ამჟამად შეუძლია თავისი ბანკისგან მიიღოს გრძელვადიანი სესხი წლიურ 10%-ად. ეს განაკვეთი სწრაფად გაიზრდება 15.5%-მდე, თუ არჩევნებში პოლიტიკური პარტია B გაიმარჯვებს. რეალური ურისკო საპროცენტო განაკვეთი (ანუ ინფლაციის გამოკლებით) არის 4% და რეალური საბაზრო უკუგება 10%-ია.

„დარონის“ საკუთარი კაპიტალის ბეტა, სავარაუდოდ, 1.25 უნდა იყოს. მოსალოდნელი არ არის მისი ცვლილება ინფლაციის ზრდის შემთხვევაში.

„დარონის“ ხელმძღვანელობას სამი ვარიანტი აქვს.

(i) კომპანიის გაყიდვა. კონკურენტისგან მიღებულ იქნა კომპანიის აქციებში $10 მლნ-ის ოდენობის არაფორმალური შეთავაზება.

(ii) არსებული საქმიანობის გაგრძელება უახლოეს მომავალში უმნიშვნელო ინვესტირებით.

(iii) პოლიტიკური პარტია A-ს არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, საქმიანობის დივერსიფიკაცია სასტუმროების სფეროში და ფუნქციონირებადი კომპანიის შეძენა $9 მლნ-ად.

შესყიდვა დაფინანსდებოდა 10%-იანი კონვერტირებადი სასესხო ფასიანი ქაღალდებით. ემისიის ღირებულება მთლიანი მოზიდული თანხის 2%-ია. „დარონს“ არ გააჩნია გამოცდილება სასტუმროების სფეროში.

სასტუმროს შეძენის ფინანსური პროგნოზები

	$ მლნ				
	20X7	*20X8*	*20X9*	*20Y0*	*20Y1*
ამონაგები	9	10	11	12	13
ცვლადი დანახარჯები	6	6	7	7	8
მუდმივი დანახარჯები	2	2	2	2	2
სხვა ფინანსური მონაცემები:	1	–	–	1	–
მზარდი საბრუნავი კაპიტალი					

საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთა უგულებელყოფილია სასტუმროს შეძენისთვის. სასტუმროს სარეალიზაციო ღირებულება დაბეგვრის შემდეგ 20Y1 წლის ბოლოს, სავარაუდოდ, $10 მლნ იქნება საბრუნავი კაპიტალის ჩათვლით. სასტუმროების მართვის სისტემური რისკი, სავარაუდოდ, კომპანიის არსებული საქმიანობის რისკის მსგავსი იქნება.

მოგეთხოვებათ:

ზემოთ მოყვანილი მონაცემების გამოყენებით მოამზადოთ მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მოცემული იქნება რეკომენდაციები „დარონის“ ხელმძღვანელობისთვის იმის შესახებ, სამი ალტერნატივიდან რომელზე უნდა შეჯერდნენ. მოხსენებით ბარათში განიხილეთ თქვენ მიერ ჩატარებული მონაცემების ანალიზის შეზღუდვები. მოხსენებით ბარათს უნდა დაურთოთ შესაბამისი გამოთვლები, მათ შორის:

ა) არსებული საქმიანობის მომავალი თავისუფალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებების შეფასება; და

ბ) სასტუმრო ინდუსტრიაში დივერსიფიკაციის კორექტირებული მიმდინარე ღირებულების შეფასება.

შეგიძლიათ იგულისხმოთ, რომ სავალო ვალდებულების საბალანსო და საბაზრო ღირებულებები ერთი და იგივეა. ნათლად გადმოეცით თქვენ მიერ გაკეთებული ნებისმიერი დაშვების შესახებ.

(30 ქულა)

მე-2 კითხვა

ა) წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ გაერთიანებული სამეფოს კომპანიის ფინანსური მენეჯერი და კომპანია მხოლოდ დიდ ევროპულ ქვეყნებთან ახორციელებს ოპერაციებს. თქვენი მმართველი დირექტორი მხარს უჭერს პოზიციას, რომ გაერთიანებული სამეფო უნდა შეუერთდეს ევროპულ მონეტარულ კავშირს და ფუნტი შეიცვლება ევროთი, რაც გამოიწვევს საოპერაციო დანახარჯების მნიშვნელოვან შემცირებას და გააქრობს თქვენი კომპანიისთვის სავალუტო გაცვლითი კურსების რისკებს. მიმოიხილეთ, რამდენად მართალია მმართველი დირექტორი თავის მსჯელობაში. **(5 ქულა)**

ბ) შპს „რეტილონი“ გაერთიანებული სამეფოს საშუალო ზომის კომპანიაა, რომელსაც სავაჭრო ურთიერთობები გააჩნია რამდენიმე ევროპულ ქვეყანასთან. შემდეგი სამი თვის სავაჭრო გარიგებები ნაჩვენებია ქვემოთ. დაუშვით, რომ ახლა 20 აპრილია.

	ორთვიანი პერიოდი		სამთვიანი პერიოდი	
	შემოსულობები	გადახდები	შემოსულობები	გადახდები
საფრანგეთი	–	€393,265	€491,011	€60,505
გერმანია	–	–	€890,217	€1,997,651
დანია	–	–	Kr 8.6 მლნ	

გაცვლითი კურსები:

	კრონი/ფუნტი	ევრო/ფუნტი
სპოტი	10.68 – 10.71	1.439 – 1.465
ორთვიანი ფორვარდი	10.74 – 10.77	1.433 – 1.459
სამთვიანი ფორვარდი	10.78 – 10.83	1.431 – 1.456

წლიური საპროცენტო განაკვეთები (ძალაშია 2 ან 3 თვის განმავლობაში)

	სესხება %	*ინვესტირება* %
გაერთიანებული სამეფო	7.50	5.50
საფრანგეთი	5.75	3.50
გერმანია	5.75	3.50
დანია	8.00	6.00

ფიუჩერსული ბაზრის განაკვეთები

სამთვიანი ევროს კონტრაქტები (125,000 ევროს ზომის კონტრაქტი)

კონტრაქტები შედგენილია ევროს შეძენის ან გაყიდვისთვის. ფიუჩერსული ფასები მოცემულია ფუნტებში 1 ევროსთვის.

ივნისი	0.6964
სექტემბერი	0.6983
დეკემბერი	0.7013

მოგეთხოვებათ:

(i) ფორვარდული ბაზრის, ფულადი ბაზრისა და სავალუტო ფიუჩერსების ბაზრის მეშვეობით შეიმუშაოთ სავალუტო გაცვლითი სტრატეგია, რომელიც მოახდენს შპს „რეტილონის“ ფულადი ნაკადების მაქსიმიზაციას სამთვიანი პერიოდის ბოლოს.

კითხვის ამ ნაწილში შესაძლებელია საოპერაციო დანახარჯებისა და მოთხოვნილი მარჟების უგულებელყოფა. შეიძლება დავუშვათ, რომ საბაზისო რისკი ნულის ტოლია კონტრაქტების დახურვისას. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფიუჩერსული კონტრაქტების ვადა თვის ბოლოს იწურება; **(15 ქულა)**

(ii) შემდგომი ყოველდღიური ფასები ფიუჩერსულ ბაზარზე ივნისის კონტრაქტისთვის, რომელიც თქვენ გაყიდეთ, შემდეგია:

გაყიდვის ფასი	0.6916
1-ლი დღე	0.6930
მე-2 დღე	0.6944
მე-3 დღე	0.6940

საწყისი მარჟა კონტრაქტზე £1,000-ია. ცვალებადობის მარჟა არის საწყისი მარჟის 100%. სპოტ გაცვლითი კურსები შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად არ იცვლება ამ სამი დღის განმავლობაში;

მოგეთხოვებათ:

სამი დღიდან თითოეულისთვის აჩვენოთ კონტრაქტის ფასის ცვლილების ზეგავლენა თქვენს ფულად ნაკადებზე. **(4 ქულა)**

გ) მიმოიხილოთ გაცვლითი კურსების რისკების ჰეჯირებისთვის ფორვარდული კონტრაქტებისა და სავალუტო ფიუჩერსების გამოყენების უპირატესობები და ნაკლოვანებები.

(6 ქულა)

(სულ 30 ქულა)

ნაწილი ბ: მხოლოდ ორ კითხვაზე პასუხის გაცემას უნდა შეეცადოთ

მე-3 კითხვა

კომპანია „ქუგარი“ ამუშავებს ახალ პროდუქციას, რომლის ბაზარზე გატანა მას 24 თვეში შეეძლება. ბაზრის კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს მოთხოვნა 74,000 ერთეულზე, თუ ზღვრული მოგება $34-ია დღევანდელი ფასებით, მაგრამ მოსალოდნელია საშუალოდ 3%-იანი ზრდა ყოველ წელს, 18%-იანი ცვალებადობის პირობებში. პროდუქციის დასაწყობების ვადა იქნება გამოშვებიდან 4 წელიწადი.

იმისათვის, რომ წარმოება შესაძლებელი გახდეს, აუცილებელია კომპანიის გადაიარაღება 24 თვის განმავლობაში, რაც $0.5 მლნ-ს მოითხოვს, თუმცა ამ დანახარჯის გაწევა მხოლოდ წარმოების გაგრძელებისას მოხდება. თუ სარეალიზაციო ფასი დაეცემა, მაშინ წარმოების დაწყება შეიძლება გადაიდოს.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დანახარჯები შემდეგი ორი წლისათვის არის $1.2 მლნ და $1.4 მლნ, შესაბამისად. „ქუგარის“ კაპიტალის ღირებულება არის 13%, ხოლო ურისკო საპროცენტო განაკვეთი 6%-ია. ფულადი ნაკადები წლის ბოლოს წარმოიქმნება.

მოგეთხოვებათ:

ა) შეაფასოთ განვითარების შესაძლებლობის მიმდინარე ღირებულება და განსაზღვროთ, უნდა გააგრძელოს თუ არა კომპანიამ ამ მიმართულებით მუშაობა; **(12 ქულა)**

ბ) ახსნათ რეალური ოფციონების არსებობის მნიშვნელობა კაპიტალური ინვესტიციების გადაწყვეტილებებისადმი და მოკლედ მიმოიხილოთ რეალური ოფციონების მაგალითები, რაც შეიძლება წამოიჭრას. **(8 ქულა)**

(სულ 20 ქულა)

მე-4 კითხვა

კომპანია „რეფლატორის“ ქვედანაყოფი ახლახან მძიმე ფინანსური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა. კომპანიის ხელმძღვანელობას სურს კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის გამოსყიდვა, მაგრამ წარმატებული გამოსყიდვისთვის მან უნდა მოიზიდოს მნიშვნელოვანი ფინანსური სახსრები სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაციიდან. კომპანია „რეფლატორს“ სურს თავისი ქვედანაყოფი გაასხვისოს $2.1 მლნ-ად და, მმართველი გუნდის აზრით, დამატებით $1 მლნ-ს ოდენობის კაპიტალის ინვესტირება იქნება აუცილებელი ამ ქვედანაყოფში სიცოცხლისუნარიანი ფუნქციონირებადი კომპანიის შესაქმნელად.

დაფინანსების შესაძლო წყაროები

საკუთარი კაპიტალი ხელმძღვანელობისგან $500,000-ის ოდენობით, 50-ცენტიანი ჩვეულებრივი აქციების სახით.

დაფინანსება სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაციიდან

საკუთარი კაპიტალი $300,000, 50 ცენტიანი ჩვეულებრივი აქციების სახით

სავალო ვალდებულება: 8.5%-იანი ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხი $2,000,000

9%-იანი სუბორდინირებული სესხი $300,000-ის ვარანტებით.

ვარანტების აღსრულება შესაძლებელია ნებისმიერ დროს დღეიდან ოთხ წელიწადში შემდეგი განაკვეთით: 100 ჩვეულებრივი აქცია თითოეული აქცია 150 ცენტად ყოველ $100-იან სუბორდინირებულ სესხზე.

8.5%-იანი ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხზე ძირითადი თანხის დაფარვა უნდა მოხდეს რვა წლის ბოლოს ერთიანად, ერთჯერადი გადახდით. სუბორდინირებული სესხის გადახდა ხორციელდება თანაბარი წლიური გადასახდელების სახით ექვსი წლის განმავლობაში, რაც შედგება ძირითადი თანხისა და პროცენტისგან.

ქვედანაყოფის მმართველები სთავაზობენ დივიდენდების შენარჩუნებას მოგების არაუმეტეს 15%-ის დონეზე პირველი ოთხი წლის განმავლობაში. დამოუკიდებლად განხორციელებული პროგნოზების მიხედვით მისაღები შემოსავლები გადასახადამდე და პროცენტამდე კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენის შემდეგ ნაჩვენებია ქვემოთ.

	$'000			
წელი	1	2	3	4
შემოსავლები პროცენტამდე და გადასახადამდე	320	410	500	540

მოგების გადასახადი წლიური 30%-ია.

გამოსყიდვაში ჩართული ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება, სავარაუდოდ, წელიწადში 20%-ით გაიზრდება პირველი ოთხი წლის განმავლობაში, რაც ინვესტიციას ძალზე მიმზიდველს გახდის სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაციისათვის. სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაციამ განაცხადა, რომ იგი დაინტერესებულია ინვესტიციით, მაგრამ ეჭვი შეაქვს საკუთარი კაპიტალის ღირებულების ზრდის საპროგნოზო განაკვეთში და მოითხოვს ვარანტებს 150 და არა 100 აქციისთვის სუბორდინირებული სესხის ყოველ $100-ზე.

მოგეთხოვებათ:

ა) მოკლედ მიმოიხილოთ ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენის პოტენციური უპირატესობები; **(5 ქულა)**

ბ) ზემოაღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეაფასოთ, გაიზრდება თუ არა საკუთარი კაპიტალის საბალანსო ღირებულება წლიური 20%-ით; **(7 ქულა)**

გ) შეაფასოთ, რა შედეგი მოჰყვება იმას, თუ მენეჯერები დათანხმდებიან ვარანტების შეთავაზებას: 150 ჩვეულებრივი აქცია ყოველი $100-ის სავალო ფასიანი ქაღალდისთვის; **(3 ქულა)**

დ) წარმოადგინოთ შენიშვნები, სადაც ახსნით სარისკო კაპიტალის მქონე მონაწილე მხარის როლს ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისას. ასევე უნდა აღნიშნოთ ის ტიპური მოთხოვნები, რომებლსაც სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაცია მოითხოვს ხელმძღვანელობისგან კომპანიის აქციების საკონტროლო პაკეტის შეძენისას. **(5 ქულა)**

(სულ 20 ქულა)

მე-5 კითხვა

თქვენი კომპანიის თავმჯდომარე წუხს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ნაჩვენები ფულადი სახსრების დაგროვებით სალაროში და სადეპოზიტო ანგარიშებზე. კომპანია საქმიანობს საავიაციო მრეწველობის სექტორში და საავიაციო კომპონენტებს აწვდის გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის სამოქალაქო საავიაციო ბაზრებს. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში კომპანია, ძირითადად, შესყიდვების ხარჯზე გაფართოვდა და თვითონ არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი ინვესტირება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებში. შესყიდვებით კომპანიამ საჭირო ტექნოლოგია მიიღო, მაგრამ ეს შესყიდვები მცირე ზომის იყო, კომპანიის მთლიან საბაზრო კაპიტალიზაციასთან შედარებით. კომპანიის მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი 1.3-ს შეადგენს, თუმცა მისი საბრუნავი კაპიტალის ციკლი საშუალოდ 24 დღისგან შედგება. კომპანიას განუახლებია ტექნოლოგიები სისტემატურად არც უცდია და არც უცდია დანახარჯების შემცირება, რენტაბელობის გაზრდის მიზნით. კომპანიის ქვედანაყოფებში არსებულმა მმართველობითმა და სტრუქტურულმა პრობლემებმა გამოიწვიას მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელების გრაფიკების დარღვევა, რასაც შედეგად ზარალი მოჰყვა. ასევე პროექტის მენეჯერებმა სრულად ვერ უზრუნველყვეს აღებული ვალდებულებების შესრულება და მათ უმრავლესობამ შედეგად ვერ მიიღო თავდაპირველად შეპირებული ფულადი ნაკადების. კორპორაციულ დონეზე, კომპანიის აღრიცხვიანობა კონტრაქტებს ეფუძნება და წლების განმავლობაში ეს მიდგომა ძალზე საყურადღებოდ იქცა, შემოსავლების აღიარების პრაქტიკასთან დაკავშირებით. ეს იმას ნიშნავდა, რომ შემოსავლების ზრდა ჩამორჩებოდა ფულად ნაკადებს.

ბოლო 12 წლის განმავლობაში კომპანიის საქმიანობის მთავარი მიმართულება ძლიერ კონკურენციულ ზეწოლას განიცდიდა, რასაც დაემატა დასავლეთის უმრავლეს ქვეყანაში თავდაცვაზე დანახარჯების შემცირება, რამაც კომპანიის შემოსავლების ზრდის ტემპი შეამცირა. კომპანიის ლევერიჯის განაკვეთი ძალიან დაბალია და ბაზრის მთლიანი კაპიტალიზაციის 12%-ს შეადგენს, ხოლო სესხებს მუდმივად იღებენ ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის ევროპულ ბაზარზე და გამოიყენება კომპანიის ევროპულ საწარმოო ქვედანაყოფებში კაპიტალური ინვესტიციების უზრუნველსაყოფად. მიმდინარე წელს საინვესტიციო გეგმა ყველაზე უფრო მწირია კომპანიის 1930 წელს დაარსების შემდეგ.

თავმჯდომარე კომენტარებს აკეთებს, კომპანიის შენობების სავალალო მდგომარეობის შესახებ და მისი აზრით ამის გამოსწორება შესაძლებელია, რათა ამ სფეროში არსებული სტანდარტები დაკმაყოფილდეს. ის შეგახსენებთ, რომ დირექტორების ანაზღაურება 15%-ით ნაკლებია, ამ სფეროში არსებულ დონესთან შედარებით და დირექტორთა საბჭოს მონაწილეობა საკუთარ კაპიტალში მცირეა. ის ასევე მიუთითებს, რომ კომპანიის გარემოსდაცვითი საქმიანობა დაბალ დონეზეა. გასულ წელს კომპანია დაჯარიმდა, გადაუმუშავებელი ნარჩენების მდინარეში გადაყრის გამო. მისი თქმით, არსებული სახსრებით კომპანიას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, რათა სიტუაცია გრძელვადიან პერსპექტივაში გაუმჯობესდეს. თუმცა, ის პესიმიზმით აღნიშნავს, რომ უკვე არასდროს იქნება ისეთივე ბიზნესშესაძლებლობები, როგორიც წინა წლებში იყო და ის აპირებს მომავალ დირექტორთა საბჭოს სხდომაზე კომპანიის არჩევანის შესახებ გულახდილი და თავისუფალი საუბარი წარმართოს. კომპანიას ძალზე ღია კულტურა გააჩნია, აქ იდეებს მხარს უჭერენ და მათ ირგვლივ თავისუფალ დებატებს მართავენ.

მოგეთხოვებათ:

ა) საბჭოს სხდომისათვის მოხსენებითი ბარათის „ცვლილებების გეგმა“ მოსამზადებლად მოკ-ლედ ჩამოაყალიბოთ ის საკითხები, რომლებიც დაადგენს კომპანიის სტრატეგიულ ფინანსურ პრობლემებს და მათი გადაჭრის ალტერნატიულ გზებს; **(10 ქულა)**

ბ) დაადგინოთ და განიხილოთ ეთიკასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა, რომელიც, თქვენი აზრით, ზემოაღნიშნულ მაგალითშია მოცემული და როგორ უნდა გადაიჭრას ისინი (ა) პუნქტში განხილული ალტერნატიული მეთოდებით. **(10 ქულა)**

(სულ 20 ქულა)